1 აგვისტო

რიგითი XVII კვირა [I], თ

წმ. ალფონს მარია დე ლიგვორი ეპ. და მოძ., +1787, (მ)

2017 სამშაბათი

გამ 33,7-11;34,5-9.28; ფს 102; მთ 13,36-43

უფალი, უფალი ღმერთი გულმოწყალე გამ 34,6

ღმერთი ეცხადება მოსეს, რომელიც ეკითხება, თუ რა სახელით სურს რომ მიმართონ მას. ღვთის სახელი გამოუთქმელია, ვინაიდან დიდია მისი სიყვარული, ისე დიდი, რომ ჩვენ ვერ დავიტევთ მას და ვერ ავხსნით და ვერ გამოვკეტავთ ჩვენს ბაგეთა ბგერებში. მისი სიყვარული ადამიანებისკენაა მიმართული, მათ კი ყველას სჭირდება მიტევება, გულმოწყალება, ბოროტის დაძლევის ძალა.

2 აგვისტო

2017

რიგითი XVII კვირა [I] მწ

წმ. ევსები ვერჩელელი, ეპ. +372;
წმ. პეტრე ივლ. ეიმარდი, ხუც. +1868;
(20.VII) წმ. სალომე ქართველი, წამ., XIIIს.

ოთხშაბათი

გამ 34,29-35; ფს 98; მთ 13,44-46

ცათა სასუფეველი ჰგავს მინდორში ჩაფლულ განძს

მთ 13,44

იესო ქადაგების დასაწყისში ამბობდა, *ცათა სასუფეველი მოახლოვდაო*. თუმცა, ხედავდა, რომ ვერავინ ხვდებოდა, ანდა, ყველას ეგონა რომ ესმოდა, თუმცა უნაყოფოდ. ამიტომაც მარტივი შედარებებით გველაპარაკება, რათა ღვთის სასუფევლის სხვადასხვა ასპექტებს ჩავწვდეთ. დღეს სურს გვითხრას, რომ სასუფეველი ძვირფასია, მაშინაც კი, როცა უმრავლესობის თვალსაა მოფარებული. როდესაც მავანი განიცდის მას, ხელს აღარ გაუშვებს და მზადაა ყველაფერზე თქვას უარი, ოღონდაც კი აღარ დაშორდეს მას.

ხუთშაბათი

გამ 40,16-21.34-38; ფს 83; მთ 13,47-53

თავისი საგანძურიდან გამოაქვს ახალი და ძველი მთ 13,52

ბრძენი მოწაფე ისაა, ვისაც გარჩევის უნარი გააჩნია: არაფერს ითვალწუნებს, წარსულსაც კი, მეტიც, ხედავს და აფასებს იმას, რაც ღვთისგანაა. ის, რაც ახალია, კარგი როდია მხოლოდ იმის გამო, რომ ახალია, და არც ძველია აუცილებლად გადასაგდები, არამედ ყოველივე, რაც ღვთიურია მუდამ დასაფასებელია.

4 აგვისტო

2017

რიგითი XVII კვირა [I], თ

წმ. იოანე მარია ვიანეი, ხუც., +1859, (მ)

პარასკევი

ლევ 23,1.4-11.15-16.27.34-37; ფს 80; მთ 13,54-58

არავითარი საქმე არ გააკეთოთ ლევ 23,6

აი საშაბათე და სადღესასწაულო წესები. ეს დღეები იმდენად მნიშვნელოვანია ადამიანისა და ერის ცხოვრებაში, რომ ზერელედ ვერ გავატარებთ მათ. მითითებები, რასაც მამა ღმერთი გვაძლევს, გამიზნულია ჩვენი სიხარულისაკენ, მშვიდობისაკენ, ჩვენს შორის თანაზიარების სისავსისაკენ და მარადიული სიცოცხლის წინასწარ დასაგემოვნებლად. იგი კისრულობს, რომ იზრუნებს ჩვენთვის აუცილებელზე, როდესაც ვცდილობთ გავუგონოთ მას.

5

აგვისტო

რიგითი XVII კვირა [I] მწ

წმ. მარიამის მთავარი ბაზილიკის კურთხევა
(24.VII) წმ. ილარიონ თვალოელი

2017

შაბათი

ლევ 25,1.8-17; ფს 66; მთ 14,1-12

უდის საკრებულოს დღეობა მთაში

მისი მოწაფენი წავიდნენ იესოსთვის სათქმელად მთ 14,12

იოანე ნათლისმცემელს თავი მოჰკვეთეს. მისი მოწაფეები ატყობინებენ იესოს ამის შესახებ: ახლა მათთვის იგია ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნება, ერთადერთი, ვისაც ძალუძს მათთვის მყარი საფუძვლის მიცემა. ატყობინებენ მას, რადგანაც მათი მოძღვრის სიკვდილი შესაძლოა მოასწავებდეს მის წინააღმდეგ დევნასაც. და ისიც იმალება. გონიერება ყოველთვის ღვთის ნიჭია. სირთულეებში მეც ყოველთვის შევატყობინებ იესოს და დაველოდები მისგან შთაგონებას.

6 აგვისტო

უფლის ფერისცვალება, დ, [ს], თ

2017 ვირა

დან 7,9–10.13–14; ფს 96; 2პეტ 1,16–19; მთ 17,1–9

იესო მიუახლოვდა, შეეხო მათ და თქვა: „წამოდექით, ნუ გეშინიათ“ მთ 17,7

ეს იყო მათთვის ახალი, სრულებით განსაკუთრებული გამოცდილება. იხილეს ნათლით მოსილი იესო და მაღლიდან ხმა ისმინეს, ღრუბელმა მოიცვა ისინი და დიდად შეშინდნენ. აღარ არიან უწინდებურნი. მოძღვარი უნდა მიუახლოვდეს მათ, შეეხოს და თავისი ხმა ასმინოს. იესო, მადლობა, რადგან მუდამ ახლოს ხარ იმ წუთებშიც, როცა ჩვენი სიმცირის გამო შიში გვიპყრობს ხოლმე ღმერთის წინაშე!

7 აგვისტო

2017

რიგითი XVIII კვირა [II] მწ

წმ. ქსისტე II პაპი და მეგ., წამებ., +258;
წმ. კაეტანე, ხუცესი, +1547

ორშაბათი

რცხ 11,4-15; ფს 80; მთ 14,22-36

თქვენ თავად მიეცით მათ საჭმელი მთ 14,16

წარმომიდგენია რომ მოწაფენი უნდა დაბნეულიყვნენ იესოსგან ამ სიტყვების მოსმენისას. მათ წინაშე დგას ხალხის ბრბო: როგორ უნდა დააპურო, როცა არაფერი გაქვს? იესო ასწავლის. პირველ რიგში მოიძიე, რა გაქვს, შემდეგ მიმართე მამას, რომელიც ცის ფრინვეთა საზრდოობითაა დაკავებული, შემდეგ გაეცი ყოველივე, რაც გაგაჩნია და დააცადე ღმერთს მოქმედება. იგი კვლავაც მამაა და იყენებს შენს გამგონობასა და სიყვარულს.

8 აგვისტო

2017

რიგითი XVIII კვირა [II], თ

წმ. დომენიკე, ხუცესი, +1221, (მ)

სამშაბათი

რცხ 12,1-13; ფს 50; მთ 15,1-2.10-14

ისმინეთ და შეიგნეთ მთ 15,10

ყოველივე ის, რასაც იესო ამბობს მნიშვნელოვანია, თუმცა ზოგჯერ იგი გვაფრთხილებს, მეტი ყურადღება დავუთმოთ მის ნათქვამს, რადგან ჩვენი ჩვეულებების გამო შესაძლოა იოლად გამოგვრჩეს ძალზე სერიოზული რამეც. დღეს იგი გვეუბნება დიდ სიმართლეს: გარეგნულმა, ჰიგიენურმა წესებმა არ უნდა გვძლიოს, არამედ თავმდაბლობამ და სიყვარულმა. ყოველთვის ყურადღება უნდა მივაქციოთ, თუ რა ხდება ჩვენს გულში.

9 აგვისტო

2017

წმ. თერეზა ბენედიქტა ჯვრისა,

(ედიტ შტაინი), ქალწ. დაწამ., +1942, ევროპის მფარველი, დ, [ს], წ

ოთხშაბათი

ოს 2,16ბ.17ბ.21-22; ფს 44; მთ 25,1-13

სამუდამოდ დაგწინდავ ოს 2,21

ფილოსოფიას, უნივერსიტეტს თუ ამ წუთისოფლის სიდიადეს არ უქცევია ედიტ შტაინი წმიდანად. ეს ყოველივე, მიუხედავად მათი მნიშვნელობისა, იყო მხოლოდ საყრდენი, როგორც წყალი მასზე მოტივტივე ნავისთვის. ედიტმა სერიოზულად მიიღო ღვთის სიყვარული, ის სიყვარული, რომელიც დაპირდა: *„დაგწინდავ...“*. როგორც ნამდვილმა სძალმა მან უპასუხა ღმერთის, სიძის სიყვარულს, მიიღო იესო და მიეძღვნა მას მისთვის სიკვდილამდე.

10 აგვისტო

2017

წმ. ლავრენტი, დიაკ. და წამ. +258, დ, [ს], წ;
(28.VII) წმ. ღირსი გიორგი მაშენებელი, +1029

ხუთშაბათი

2კორ 9,6–10; ფს 111; იო 12,24–26

ვინც მე მემსახურება, მას ჯატივს მიაგებს მამა

იო 12,26

მართლაც რომ საკვირველ რამეს გვპირდება იესო. ნუთუ შესაძლებელია, ღმერთმა მომაგოს პატივი? ღმერთმა მაღიაროს დიდად? დიახაც რომ, როდესაც ვემსახურები მის ძეს, ხოლო იესოს ვემსახურები, როდესაც ვირჩევ უკანასკნელ ადგილს... დღეს ამის ნიმუშს გვაძლევს ლავრენტი, პაპი სიქსტეს დიაკვანი რომის ეკლესიიდან.

11 აგვისტო

2017

რიგითი XVIII კვირა [II], თ

წმ. კლარა ასიზელი, ქალწ. + 1253, (მ);
(29.VII) წმ. ევსტათი მცხეთელი, წამ. (+589)

პარასკევი

რჯლ 4,32-40; ფს 76; მთ 16,24-28

აიღოს თავისი ჯვარი და გამომყვეს მთ 16,24

ესაა ჩვენი ყველაზე დიდი ცდუნება, რომლის დაძლევა თავად იესოსას მოუწია: იხსენი თავი შენი, ჩამოდი ჯვრიდან! ყოველდღიურად ვერც კი ვამჩნევთ ისე ვმარცხდებით ამ ცდუნების წინაშე. ყოველდღიურად უგულებელვყოფთ სიყვარულს და სხვებს ზემოდან დავყურებთ. ამგვარად ვერ დაგვედგომება იესოს გვერდით: მასთან ვართ მხოლოდ მაშინ, როცა მზადა ვართ ძმათა სამსახურად. მადლი შევწიროთ მამას წმიდა კლარას მაგალითისთვის.

12 აგვისტო

2017

რიგითი XVIII კვირა [II] მწ

წმ. იოანა ფრანცისკა დე შანტალი, მონ., +1641

შაბათი

რჯლ 6,4-13; ფს 17; მთ 17,14-20

აქ მომეგვარეთ იგი მთ 17,17

იესოს ბრძანებაა: მასთან უნდა მიეყვანათ ბიჭი, რომელიც იტანჯებოდა ბოროტი ძალის გამო, რომლის განდევნაც მისგან ვერავინ შეძლო, თვით იესოს მოწაფეებმაც კი. მოძღვრის სიტყვა განკურნავს მას. მისი სიტყვა ხომ თავმდაბალი და მორჩილი პიროვნების ხმაა: მტერი კი ვერ იტანს ვერც თავმდაბლებსა და ვერც მორჩილებს.

13 აგვისტო

2017 კვირა

3მეფ 19,9.11–13; ფს 84; რომ 9,1–5; მთ 14, 22–33

მკირედმორწმუნევ, რატომ დაეჭვდი? მთ 14,31

ვინაა რომ დაეჭვდა? ამჯერად პეტრე. ჩვენ ვერ გავბედავთ მის გაკიცხვას, რადგან მის ადგილზე უარესად მოვიქცეოდით. მაგრამ იესოს, რომელმაც უწყის რწმენის ძალა, შეუძლია ჩვენი გაკიცხვაც. თუ მას დავყვებით, წყალზეც გავივლით და პირქარსაც დავძლევთ. ყოველ რთულ მდგომარეობაში მოველოდეთ მის სიტყვას, რათა დავყვეთ მას, და არ მოვტყუვდებით.

წმ. მაქსიმილიან მარია კოლბე,
ხუც. და წამ., +1941, (მ)

ორშაბათი

რჯლ 10,12-22; ფს 147; მთ 17,22-27

იგია შენი დიდება, იგია შენი ღმერთი რჯლ 10,21

სამწუხაროდ მეც შემემთხვა, რომ ვარჩიე დამემალა ჩემი რწმენა და სიყვარული ღვთისადმი. ეჭვგარეშეა, დავაშავე მის წინაშე; განა მან არ მომცა სიცოცხლე, იგი არ მომიტევებს, რომ ვუყვარვარ მამაზე და დედაზე მეტად? ის უნდა იყოს ჩემი სიქადული და დიდება: რომ არა იგი, რა ვიქნებოდი? ჩვარი, სანაგვეზე გადასაგდები!

15 აგვისტო

2017

უწმიდესი მარიამ ღმერთისმშობლის
ზეცად აღყვანება, დდ, [ს], თ

სამშაბათი

გამოცხ 11,19;12,1-6.10; ფს 44; 1კორ 15,20-27; ლკ 1,39-56

თბილისის ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების
კათოლიკური საკათედრო ტაძრის დღეობა

მოხედა თავისი მხევლის თავმდაბლობას ლკ 1,48

მარიამია დედათა შორის უდიდესი, თუმცა თავად
როდი ტრაბახობს ამით. მან უწყის, რომ ღმერთმა
აირჩია და შეიყვარა იგი მისი სიმცირის გამო,
იმის გამო, რომ არ იყო შესაფერისი. მივბაძავ
მის მაგალითს, რომელიცაა დედათა დედა,
და წარვუდგენ ღმერთსა და ადამიანებს ჩემს
სიღატაკეს, სიმცირეს, ჩემს უძლურებებს. ამგვარად
მეც შემეძლება მამის მზერის ქვეშ ყოფნა.

16 აგვისტო

2017 ოთხშაბათი

თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების სახ.
კათოლიკური საკათედრო ტაძრის კურთხევა,
დდ (სამრევლოებში - დ), [ს], თ

ეზეკ 47,1-2.8-9.12; ფს 45; 1კორ 3,9გ-11.16-17; იო 2,13-22

შენი სახლის შურრი მჭამს მე მთ 18,20

დღეს ჩვენი ეკლესიის მთავარი ტაძრის, საკათედრო ტაძრის კურთხევის გახსენების დღეა. ის განასახიერებს მთლიანად ჩვენს ადგილობრივ ეკლესიას, რაკი ეპისკოპოსის საყდარია. განსაკუთრებული სიყვარული გვაკავშირებს მასთან და ის წმიდა „შური“, რომელზეც სახარება საუბრობს, არცერთი ჩვენგანისათვის არაა უცხო. უფალო იესო, გევედრებით განგვიახლე შენი სული, დაე, თითოეულ ჩვენგანს გვახსოვდეს რომ შენი ასოები ვართ, ღვთის სახლის ცოცხალი ქვები.

ხუთშაბათი

იეს 3,7-10.11.13-17; ფს 113ა; მთ 18,21 - 19,1

ბატონს შეებრალა ის მსახური მთ 18,27

შეებრალა! თავად ღმერთი იქცევა ასე, მოქმედებს თანალმობით. მადლობას მივუძღვნი მას, რადგან მსახური, რომელსაც სჭირდება თანალმობა, მე ვარ. ნამდვილი მადლობა სიტყვით როდი ითქმის, არამედ მიბაძვით. ვინმემ შეურაცხმყო? ვინმეს რამე მართებს ჩემი? თანავუგრძნობ მათ და მამაც ხარობს ჩემით და კიდევ უფრო მეტად მამდიდრებს!

18 აგვისტო

რიგითი XIX კვირა [III] მწ

2017 პარასკევი

იეს 24,1-13; ფს 135; მთ 19,3-12

ნებადართულია კაცისათვის თავისი ცოლის გაშვება? მთ 19,3

იოლი იქნებოდა „ჰოს“ ან „არას“ პასუხი. კი მაგრამ რა კითხვაა ეს? იმასა ჰგავს, რომ ღმერთს, რომელმაც ადამიანის ბედნიერება თანაზიარებაში მოიაზრა, ვთხოვოთ სხვაგვარად მოიქცეს. ეს იმასა ჰგავს, რომ იმ ღმერთს, რომელმაც მამაკაცს მიანიჭა ქალთან თანაზიარების ნიჭი და პირიქით, ვკითხოთ შეიძლება თუ არა საჩუქარზე უარის თქმა. ეს ნიშნავს ჰკითხო ღმერთს, ნებადართული თუ არის შეცოდება! რა პასუხის გაცემა შეიძლება ამაზე?

19 აგვისტო

2017

რიგითი XIX კვირა [III] მწ

წმ. იოანე ოდი, ხუცესი, +1680

შაბათი

იეს 24,14-29; ფს 15; მთ 19,13-15

ჩვენ თუფალს ვემსახურებით,
რადგან იგია ჩვენი ღმერთი იეს 24,18

ერი აცხადებს გადაწყვეტილებას, უარი თქვას სხვა ხალხების კერპებზე და მიენდოს ერთადერთი და ჭეშმარიტი ღმერთის მცნებებს. ნეტარ არიან ისინი, ვინც პატარაობიდან სწავლობენ უფლის მსახურებას! მათ მრავალი სატანჯველი ასცდებათ!

20 აგვისტო

რიგითი XX კვირადღე, «ა», [IV], მწ

2017 კვირა

ეს 56,1.6-7; ფს 66; რომ 11,13-15.29-32; მთ 15,21-28

დიდია შენი რწმენა!
მოგეცეს როგორც შენ გსურს მთ 15,28

იესოს მოსწონს საკუთარ შვილზე მზრუნველი ქალის თავმდაბალი და გამძლე რწმენა. ჩვენს ცხოვრებაში გვხვდება სატანჯველი, დაეჭვის გარეშე წარვუდგინოთ ისინი უფალს. დღეს მეც მივუძღვნი მას ჩემს იმედს: დარწმუნებული ვარ რომ გულმოწყალედ ისმენს ჩემს ლოცვას.

21 აგვისტო

რიგითი XX კვირა [IV], თ

წმ. პიუს X, პაპი, +1914, (მ)

2017 ორშაბათი

მსჯ 2,11-19; ფს 105; მთ 19,16-22

ბორროტყებას სჩადიოდნენ ისრაელის ძენი უფლის თვალში მსჯ 2,11

რა არის ამაში ცუდი? რამდენჯერ გაგვიგია ამგვარი სიტყვები, შესაძლოა თავადაც დაგვცდენია. რა არის ამაში ცუდი? არადა ეს ხომ თითქმის ღვთისგმობაა. ჩვეულებრივ, მართლაც, არ ვიცით რა ვუპასუხოთ ამ კითხვას. ნამდვილი კითხვა კი ამგვარად ჟღერს: „რა არის ამაში ცუდი ღმეთის თვალში?“. ეს მან უნდა მიგვმართოს ჩვენს ქმედებებში!

22 აგვისტო

ნეტ. ქალწ. მარიამ დედუფალი (მ)

2017 სამშაბათი

ეს 9,1-6; ფს 112; ლკ 1,26-38

ვარგავის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

სათკუნოდ იმეფებს იაკობის სახლზე მთ 19,23

მთელი პატივი, რასაც მარიამი ღებულობს ეკლესიისაგან, მთლიანად მის ძეზეა დამყარებული. თავადაც ხომ მთლიანად ღმერთზე გახნილი არსებობით იცხოვრა. სახარებისთვის იესო მეფეა, და მარიამიც მეფის დედაა სრული უფლებით, ნამდვილი დედუფალი, რომელიც ზრუნავს, რომ თითოეულ მორწმუნეს ახსოვდეს ღვთის შვილთა სამეფო ღირსებას რომ ფლობს.
მარიამ, შენი ძლიერი ლოცვით შეეწიე შენი ძის ეკლესიას ვარგავის საკრებულოში!

23 აგვისტო

რიგითი XX კვირა [IV] მწ
წმ. რობა ლიმელი, ქალწ., +1617

2017 ოთხშაბათი

მსჯ 9,6-15; ფს 20; მთ 20,1-16

რად დგახართ აქ მთელი დღე ფუქმად? მთ 20,6

შენ რას აკეთებ უფლის ვენახში? ასრულებ რაიმე მსახურებას მის ეკლესიაში? მთელ შენს დროს შენივე საქმეებს ახმარ თუ ღვთის საქმესაც უთმობ ხოლმე ძალებს? შენთვისაცაა ადგილი, საშრომ-საჯაფი შენც გელის. გამხნევდი!

24 აგვისტო

2017

წმ. ბართოლომე მოციქული, დ, [ს], წ

ხუთშაბათი

გამოცხ 21,9–14; ფს 144; იო 1,45–51

რაბი, შენა ხარ ძე ღვთისა, ისრაელის მეფე იო 1,49

ბართლომე სიხარულით ავლენს თავის რწმენას, მოურიდებლად. იესომ შეაქო იგი, როგორც უხარია ხოლმე ჩემი და შენი რწმენა. ვისწავლოთ მოციქულისაგან ჩვენი მზერის იესოსკენ მიპყრობა, რათა ვიხილოთ მის თვალთა ნათელი.

25 აგვისტო

2017

რიგითი XX კვირა [IV] მწ

წმ. ლუდოვიკე, +1270;
წმ. იოსებ კალასანსი, ხუც., +1648

პარასკევი

რუთ 1,1.3-6.14-16.22; ფს 145; მთ 22,34-40

მოძღვარო, რომელი მცნებაა
დიდი რჯულში? მთ 22,36

ჩვენც ვიცით ამ კითხვის პასუხი, რაკი ვეკუთვნით იესოს. რჯულის დიდი მცნება ესაა, გიყვარდეს ღმერთი მთელი გულით: ძირეული მცნებაა, საყრდენი, საძირკველი მოყვასის სიყვარულისათვის. ღმერთს რომ არ ეკავოს უპირველესი ადგილი, მოყვასის სიყვარულიც მერყევი იქნებოდა და ნაკლული.

26 აგვისტო

2017 შაბათი

რუთ 2,1-3.8-11;4,13-17; ფს 127; მთ 23,1-12

ვინც თავს დაიმდაბლებს, ამაღლდება მთ 23,12

რა იოლად გამოგვდის ქედმაღლობა! როდესაც თავი დიდი ვინმე მგონია, მძიმე ასატანი ვხდები ხოლმე. ხოლო, როცა თავს ვიმდაბლებ და მცირე ვრჩები, მაშინ აღარავინ იღლება ჩემით. არასოდეს უნდა დამავიწყდეს, რომ იმ ბავშვივით უნდა ვიყო, ვისაც ყველა სჭირდება, ყველას განკარგულებაში მყოფი მსახური.

27 აგვისტო

2017 კვირა

ეს 22,19-23; ფს 137; რომ 11,33-36; მთ 16,13-20

რას ამბობს ხალხი,
ვინ არისო მე კაცისა? მთ 16,13

იესო ეკითხება მოწაფეებს. მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რასაც ხალხი იძახის? რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, არა იმისათვის, რომ მათ სიტყვას ავყვეთ, არამედ, რათა ვიცოდეთ, თუ ვისთან გვაქვს საქმე. მნიშვნელოვანია იცნობდე ხალხს, ვისაც აუწყებ იესოს, მამის სიყვარულს, სახარების ნათელს. მოწაფეებს მართებთ იცოდნენ, რომ იმ საუნჯის მფლობელები არიან, რომელიც უნდა მიაწოდონ მათ, ვისაც სრულებით არ გააჩნია ის.

28 აგვისტო

2017

რიგითი XXI კვირა [I], თ

წმ. ავგუსტინე, ეპ. და ეკლ. მოძღ. +430, (მ)

ორშაბათი

1თეს 1,2-5.8-10; ფს 149; მთ 23,13-22

მიძღვნება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში

ვმადლობთ ღმერთს მარადის ყველა თქვენგანისათვის 1თეს 1,2

საკუთარი თავით კმაყოფილება გვმართებს თუ უნდა გავფრთხილდეთ, რომ არ დავიღუპოთ? წმიდა პავლე ხარობს თავისი საკრებულოს ქრისტიანთა რწმენითა და ქმედითი სიყვარულით, ხოლო იესო კიცხავს მწიგნობრებსა და ფარისევლებს მოწაფეთა წინაშე. კმაყოფილნი უნდა იყვნენ უფალთან სიახლოვით, თუმცა ვერასოდეს დაივიწყებენ მღვიძარებას. ისინიც შეიძლება გახდნენ ამბიციების, შურის, სიხარბის, ამპარტავნების ცდუნების იოლ ლუკმად.

29 აგვისტო

2017

იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთა, (მ), [ს], წ

სამშაბათი

იერ 1,17–19; ფს 70; მარ 6,17–29

არ გერგება შენი მმისცოლი ცოლად მარ 6,18

ეს საყვედური ჰეროდესკენაა მიმართული. შემიძლია წარმოვიდგინო ჰეროდეს მსჯელობა: რა არის ცუდი, თუ ქალი გიყვარს ადამიანს? რა მისი ბრალია, თუ ჩემი ცოლი არაა? მეც ხომ მხოლოდ სიყვარულს ვჩუქნი მას! როგორც ჩანს დღეს მრავალი მსჯელობს ასე. იოანესთან ერთად კი ამ კითხვას ჩვენც ვუპასუხებთ: „არსებობს ბოროტება ღმერთის თვალში?“. რა თქმა უნდა რომ ბოროტებაა, და ღმერთი ხედავს მას, და ვუყვარვართ თითოეული ჩვენგანი.

ოთხშაბათი

1თეს 2,9-13; ფს 138; მთ 23,27-32

განუგეშებდით და გარწმუნებდით, რომ გევლოთ ღვთის ღირსად 1თეს 2,12

თესალონიკელი ქრისტიანები ყურადღებით ისმენ-დნენ და ასრულებდნენ წმიდა პავლეს სწავლებას. სერიოზულად მიიღეს ის, როგორც ღვთის სიტყვა. მასაც უხარია, როგორც ჩვენ, როდესაც ვხედავთ რომ მავანი დაჰყვება ღვთის სიბრძნეს. შეგვიძლია ვიკითხოთ: ვუგდებ თუ არა ყურს ჩემი სულიერი მამის თუ წინამძღვრის რჩევებს?

ხუთშაბათი

1თეს 3,7-13; ფს 89; მთ 24,42-51

მ. ანდრია გიგოლაშვილის გახსენება (+1937)

მზად იყავით მთ 24,44

ჩვენი დღეები სწრაფად ილევა. ხშირად ისინი ერთ გადაბმულ ყოველდღიურობის ზუზუნსა ჰგავს. ეს იმიტომ ხომ არა, რომ ჩვენ ნაკლებად ყურადღებითა ვართ ჩვენთან და ჩვენთვის მყოფ უფლის სიტყვაზე? მისთვის ჩვენი დღე ყოველდღიურობის ზუზუნი როდია, არამედ შესაძლებლობა, რომ შეგვიყვაროს და გვთხოვოს ჩვენი მხრიდან შეყვარების გარჯა.